ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ე.კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების

<u>ანგარიში</u>

2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებაში 21 საბავშვო ბაღი და 2(ორი) სკოლისათვის მზაობის ჯგუფია:

1. დაბის #1 საბავშვო ბაღი;
2. დაბის #2 საბავშვო ბაღი;
3. სოფელ ხევის საბავშვო ბაღი;
4. სოფელ ხუნევის საბავშვიო ბაღი;
5. სოფელ ვერტყვიჭალის საბავშვო ბაღი;
6. სოფელ გედსამანიის საბავშვო ბაღი;
7. სოფელ ნადაბურის საბავშვო ბაღი;
8. სოფელ ბორითის საბავშვო ბაღი;
9. სოფელ ღორეშის საბავშვო ბაღი;
10. სოფელ სარგვეშის საბავშვო ბაღი;
11. სოფელ კიცხის საბავშვო ბაღი;
12. სოფელ ბორის საბავშვო ბაღი;
13. სოფელ ვარძიის საბავშვო ბაღი;
14. სოფელ წყალაფორეთის საბავშვო ბაღი;
15. სოფელ ხიდრის საბავშვო ბაღი;
16. სოფელ საღანძილის საბავშვო ბაღი;
17. სოფელ ლეღვანის საბავშვო ბაღი;
18. სოფელ ვახანის საბავშვო ბაღი;
19. სოფელ მოლითის საბავშვო ბაღი;
20. სოფელ წიფის საბავშვო ბაღი;
21. სოფელ ზვარის საბავშვო ბაღი;

22. სოფელ მარელისის სკოლისათვის მზაობის ჯგუფი;

23. დაბის #1 ბაღთან არსებული სკოლისათვის მზაობის ჯგუფი.

აღსანიშნავია, რომ დღეის მდგომარეობით, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, სოფელ ხევის და სოფელ ზვარის საბავშვო ბაღები ფუნქციონირებენ როგორც სკოლისათვის მზაობის ჯგუფები. ჯგუფებში არიან შერეული ასაკის აღსაზრდელები.

2023 წელს გაერთიანების ყველა საბავშვო ბაღმა გაიარა დიაგნოსტიკური თვითშეფასების პროცესი წარმატებით, რასაც მოწმობს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული იმ დაწესებულებების სია, რომლებმაც შეასრულეს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები და განრიგით გათვალისწინებული ავტორიზაციის გავლამდე აქვთ კანონის ფარგლებში საქმიანობის უფლება. მათ რიცხვში შედის ჩვენი გაერთიანების ყველა სააღმზრდელო დაწესებულება, რაც ვფიქრობთ მისასალმებელია.

ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის მეორე სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად ჩვენი გაერთიანების ყველა სააღმზრდელო დაწესებულებას აქვს წინასწარ შერჩეული კურიკულუმი, რომელიც თამაშზეა დაფუძნებული და ორიენტირდება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებზე, ოჯახისა და თემის ჩართულობაზე. სისტემატიურად მიმდინარეობს მონიტორინგი და პრაქტიკაში მხარდაჭერა ახალი კურიკულუმის დასანერგად. ამ მიმართულებით ჩატარდა ტრენინგები, სემინარები სამუშაო შეხვედრები განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ახლად დანიშნულ კადრებს და მულტიდისციპლინარულ გუნდთან მუშაობას. საკმაოდ შრომატევადი სამუშაო ჯერ კიდევ წინ გვაქვს, რათა სრულფასოვნად განვახორციელოთ ახალი კურიკულუმის დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება. სტანდარტის ის ნაწილი რომელიც მოიცავს და განსაზღვრავს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას მეტწილად მხარდაჭერილია, რადგან პედპერსონალის 80% გადამზადებულია აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული ტრენინგ-მოდულით. ახალი მოთხოვნების შესაბამისად მიმდინარეობს ბავშვებზე ობიექტური დაკვირვება და შესაბამისად საჭიროებების აღმოჩენა. სპეციალისტები აწარმოებენ ინდივიდუალურ სამუშაო გეგმებს და აქტივობებს. ეტაპობრივად ინიშნება პირადი ასისტენტები. სისტემატიურად მიმდინარეობს ყველა საბავშვო ბაღში ჯგუფისა და ეზოს ფიზიკური გარემოს მონიტორინგი. მოწმდება როგორც ბავშვების ასევე აღმზრდელთა პორტფოლიოები, თემატური

ცენტრები. გაერთიანება საჭიროებების გამოვლენის შემდეგ აწარმოებს დახმარებასა და მხარდაჭერას. სასწავლო წლის ბოლოს გადამზადდება დარჩენილი 20 აღმზრდელი სავალდებულო აღმზრდელ - პედაგოგის 66 საათიანი ტრენინგ-მოდულით.

ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებით გაერთიანებაში შექმნილია მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც აწარმოებს გეგმიურ მონიტორინგს გაერთიანების ყველა სააღმზრდელო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებზე (ჰიგიენა, კვება, საგანმანათლებლო). იქმნება მონიტორინგის აქტი, სადაც აღწერილია დაწესებულების დადებითი და უარყოფითი მხარეები, მოსაგვარებელი პრობლემები. ვახდენთ ყველა პრობლემაზე დროულ რეაგირებას.

მოგეხსენებათ ბავშვის განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სიცოცხლის პირველ ექვს წელიწადს და შესაბამისად სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობას. ჩვენი გაერთიანება ოჯახებთან და საზოგადოებასთან პარტნიორობით, თამაშზე დაფუძნებული სწავლის მეშვეობით, პატარებს ვუღვიებთ სწავლის სიყვარულს, ვაშენებთ მყარ საფუძველს წიგნიერებისა და ბაზისური უნარების სფეროში, ვზრდით ემპათიურ ინდივიდებად, რომლებიც მზად არიან რეალიზდნენ ცვალებად სამყაროში.

აღსაზრდელთა სიობრივი რაოდენობა 2023 წლის სექტემბრისთვის იყო 470, გაერთიანებაში ამ პერიოდისათვის დასაქმებულია 286 თანამშრომელი, აქედან 13 შტატგარეშე (ცეცხლფარეში).

2023 წლის დასაწყისში სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების ბიუჯეტი შეადგენდა 2350000 ლარს. დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვა წლის ბოლოსათვის კი შეადგენდა 2310000 ლარს. 2023 წლის ფაქტიურმა ხარჯმა (შესრულებამ) შეადგინა 2243349 ლარი. აქედან შრომის ანაზღაურებამ გაერთიანებაში დასაქმებულ 273 თანამშრომელზე შეადგინა 1718225 ლარი, შტატგარეშე (ცეცხლფარეშები) თანამშრომლების ხელფასმა 17615 ლარი. სულ ორივე მუხლით შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 1735840 ლარი, რაც მთლიანი შესრულების 77,4%-ია.

ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალ ყველა საბავშვო ბაღში დაცულია კვების რაციონის, სანიტარული და ჰიგიენური ნორმები საქართველოს მთავრობის 2017 წლის #487 და #485 დადგენილებების საფუძველზე. გვაქვს ოთხჯერადი კვება (საუზმე, წახემსება, სადილი, სამხარი) კალორიულობის სრული დაცვით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კვების

ორგანიზების ჰიგიენური ნორმების დაცვას, კვების ბლოკის აღჭურვილობის, პროდუქტების შენახვისა და სურსათის მომზადების მოთხოვნებს.

მოვახდინეთ სამზარეულოებისათვის წინა წელს შეძენილი სამედიცინო და ზუსტი აპარატურის შეკეთება, ტექნიკური მომსახურება (დაკალიბრება) და მომსახურების ღირებულებამ შეადგენა **5385** ლარი. განვაახლეთ სამზარეულოს ინვენტარი, საბავშვო ბაღების მოთხოვნების შესაბამისად:

1. ჭურჭელი -**6195** ლარი;
2. საკვების გადამამუშავებელი (ხორცსაკეპი მანქანა 4ც)-**1600** ლარი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ 2023 წლის 18 სექტემბრისთვის გაერთიანებაში ირიცხებოდა 470 აღსაზრდელი. საახალწლოდ გავეცით **8545** ლარის ღირებულების საახალწლო ნობათი, ტკბილეულის სახით ყველა აღსაზრდელზე. კვებაში გაწეულმა ხარჯმა 2023 წელს შეადგინა **188250** ლარი.

გაერთიანების საბავშვო ბაღებში სურსათის ეროვნული საგენტოს რეკომენდაციის საფუძველზე ჩატარდა სადეზიფენქციო და სასმელი წყლის ვარგისიანობის ლაბორატორიული კვლევების სამუშაოები. ამასთანავე პერიოდულად, აქაც მოთხოვნების შესაბამისად, შეგვაქვს სამედიცინო ხსნარები, სადეზიფენქციო, სანიტარულ-ჰიგიენური და რეცხვა/ქიმწმენდის საშუალებები. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის ღირებულებამ კი 2023 წელს ჯამში **31228** ლარი შეადგინა. ყველა საბავშვო ბაღში განახლებულია წყლის ფილტრები, შევიძინეთ წყლის დიდი ტევადობის ავზები იმ საბავშვო ბაღებისათვის სადაც არ გვქონდა, **1200** ლარად (6 ცალი, წყალაფორეთი, ხიდარი, ვარძია, ლეღვანი, ვახანი, წიფა).

2023 წელს „იმერეთის სახანძრო დაცვის" მიერ ჩატარდა ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება ღირებულება-**550** ლარი.

ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის მეოთხე სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისდ, სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მომსახურებამ შეადგინა **3697** ლარი.

შევიძინეთ **3910** ლარის რბილი ინვენტარი (პირსაწმენდები ყველა ბაღისათვის და ნაწილს ფარდები). გადავპენტეთ და განვაახლეთ საბნები და ლეიბები- **6100** ლარი. სურსათის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე, შევიძინეთ მწერების დამცავი ბადეები, ღირებულებით **4545** ლარი. როგორც

მოგეხსენებათ გათბობის სეზონზე 19 საბავშვო ბაღში ვიყენებთ საშეშე მერქანს, 2 საბავშვო ბაღში (ვერტყვიჭალა და საღანძილე) დიზელის საწვავს, ხოლო #1 საბაშვო ბაღში ბუნებრივ აირს. წლის განმავლობაში კომუნალურმა ხარჯმა შეადგინა **133457 ლარი.**

წლის განმავლობაში შეძენილი იქნა 8120 ლარის სათამაშოები და 400 ლარის ნაბეჭდი წიგნები.

<u>არაფინანსური აქტივების ზრდის ხარჯმა შეადგინა **33808** ლარი.</u>

მათ შორის:

1. # 1 საბავშვო ბაღის გარე ფასადის რემონტი, ხარჯთაღრიცხვით **29333** ლარი (**28559+774**);
2. წყლის ცენტრალურ ქსელზე დაერთება საღანძილის ბაღის **400** ლარი;
3. მაცივარი **1770** ლარი. (#1 და მოლითი);
4. ტელევიზორი (ნადაბურის) - **725** ლარი;
5. სამზარეულოს ვენტილიატორები **1580** ლარი (ვარძიის და კიცხის).

ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების ყველა საბავშვო ბაღში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი შეწყდება 2024 წლის 1 ივლისს. 1 ივლისიდან 1 აგვისტომდე დაბაში იფუნქციონირებს საზაფხულო ჯგუფი, დასაქმებული მშობლების მოთხოვნის შესაბამისად.

და ბოლოს, მადლობა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს ჩვენი ორგანიზაციის სახელით მუდმივად ჩვენს გვერდში დგომისა და მხარდაჭერისათვის.

ა(ა)იპ ე.კიკნაძის სახელობის სკოლამდელ

დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი

თამარ ლაცაბიძე